

შპს ვიურტ-გეორგია

ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება.....	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	6
1. ძირითადი საქმიანობა.....	6
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა	6
3. ფული და ფულის ექვივალენტები	10
4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	10
5. სასაქონლო მატერიალური მარაგები	10
6. წინასწარ გაწეული ხარჯები.....	11
7. ძირითადი საშუალებები.....	11
8. არამატერიალური აქტივები	12
9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12
10. საგადასახადო ვალდებულებები	13
11. შემოსავალი.....	13
12. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება.....	14
13. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	14
14. გაყიდვისა და მიწოდების ხარჯები	14
15. სხვა შემოსულობა/ზარალი - წმინდა	14
16. სხვა ხარჯები	14
17. იჯარა	14
18. კაპიტალი.....	15
19. სააგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები	15

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები		534,942	294,941
ძირითადი საშუალებები	7	345,631	238,970
არამატერიალური აქტივები	8	189,311	55,971
მოკლევადიანი აქტივები		4,118,648	4,245,891
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	3	664,652	1,373,653
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	4	2,362,070	1,860,945
მარაგები	5	1,091,926	1,011,292
მთლიანი აქტივები		4,653,589	4,540,832
საწესდებო კაპიტალი		201,101	201,101
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		3,629,427	3,497,432
გადაფასების რეზერვი		27,513	27,513
მთლიანი კაპიტალი		3,858,041	3,726,046
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები		-	-
ანარიცხები		-	-
მოკლევადიანი ვალდებულებები		795,549	814,786
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	9	717,068	737,653
საგადასახადო ვალდებულებები	10	78,481	77,133
მთლიანი ვალდებულებები		795,549	814,786
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		4,653,589	4,540,832

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით

დირექტორი

ფინანსური დირექტორი

ნუგზარ მელაძე

ნესტან ამირეჯიბი

თბილისი, საქართველო

თბილისი, საქართველო

31 აგვისტო 2019 წელი

31 აგვისტო 2019 წელი

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
ამონაგები	11	5,557,854	5,655,054
თვითღირებულება	12	(2,897,853)	(2,825,531)
საერთო მოგება		2,660,001	2,829,523
სხვა შემოსავლები		23,458	63,185
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	13	(2,236,696)	(2,573,164)
მიწოდების დანახარჯები	14	(144,569)	(128,146)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	15	(31,743)	72,091
სხვა ხარჯები	16	(139,180)	(57,828)
საოპერაციო მოგება		131,271	205,661
ფინანსური შემოსავალი		724	1,404
ფინანსური ხარჯი		-	-
ფინანსური ხარჯი - წმინდა		724	1,404
მოგება დაბეგვრამდე		131,995	207,065
მოგების გადასახადი	-	-	(6,175)
წმინდა მოგება		131,995	200,889
სხვა სრული შემოსავალი:			
მთლიანი სრული შემოსავალი		131,995	200,889

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით

დირექტორი

ფინანსური დირექტორი

ნუგზარ მელაძე

ნესტან ამირეჯიბი

თბილისი, საქართველო

თბილისი, საქართველო

31 აგვისტო 2019 წელი

31 აგვისტო 2019 წელი

შპს ვიურტ-გეორგია

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებე ლი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2017 წლის 1 იანვარი	201,101	27,513	3,296,543	3,525,157
წმინდა მოგება	-	-	200,889	200,889
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	200,889	200,889
გაცემული დივიდენდი	-	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება	-	-	-	-
2017 წლის 31 დეკემბერი	201,101	27,513	3,497,431.89	3,726,046
წმინდა მოგება	-	-	131,995	131,995
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	131,995	131,995
გაცემული დივიდენდი	-	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება	-	-	-	-
2018 წლის 31 დეკემბერი	201,101	27,513	3,629,427	3,858,041

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით

დირექტორი

ფინანსური დირექტორი

ნუგზარ მელაძე

ნესტან ამირეჯიბი

თბილისი, საქართველო

თბილისი, საქართველო

31 აგვისტო 2019 წელი

31 აგვისტო 2019 წელი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ქართულ ლარში)

1. ძირითადი საქმიანობა

ვიურტ-გეორგია (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმო, რომელიც დაფუძნდა 1997 წლის 10 სექტემბერს და რეგისტრირებულია საქართველოში.

კომპანიის მფლობელობა წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2018 წელი	2017 წელი
სს WURTH INTERNATIONAL , CH (შვეიცარია)	100%	100%

კომპანიის საქმიანობას წარმოადგენს სამშენებლო, სამონტაჟო, მანქანათმშენებლობისა და საავტომობილო მრეწველობისათვის, ხე-ტყისა და ავეჯის დამზადებისათვის, აგრეთვე ლითონდამამუშავებელ საწარმოთა საჭიროებისათვის აუცილებელი პროდუქციის შეძენა და გაყიდვა, იმპორტი და ექსპორტი.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

ზოგადი ინფორმაცია

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (მსს ფასს სტანდარტი) შესაბამისად.

არსებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს 2017 და 2018 წლების 31 დეკემბერს დასრულებული სრული შემოსავლის ანგარიშგებებს. 2017 და 2018 წლების 31 დეკემბერს დასრულებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებებს. საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას და ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებს.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში, რომელიც ამავე დროს წარმოადგენს კომპანიის ფუნქციურ ვალუტას.

მსს ფასს-ის პირველადი გამოყენება

ეს ფინანსური ანგარიშგება, მომზადებული 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არის პირველი, რომელიც კომპანია მოამზადა.

შესაბამისად, კომპანიამ მოამზადა ფინანსური ანგარიშგება, რომელიც შეესაბამება მსს ფასს-ს, მოქმედს 2018 წლის 31 დეკემბერს ან შემდეგ დასრულებული პერიოდებისთვის, 2017 წლის 31 დეკემბრის შესადარისი პერიოდის მონაცემებთან ერთად. ამ ანგარიშგების მომზადებისას, კომპანიის საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მომზადდა 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, რაც კომპანიისთვის წარმოადგენს მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღს.

ფუნქციონირებადი საწარმო

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე. კომპანიამ 2018 წელს გამოიმუშავა 131 995 ლარი წმინდა მოგება (2017 წელს 200 889 ლარი). 2018 წელს მოკლევადიანი აქტივები მნიშვნელოვნად აღემატება კომპანიის მიმდინარე ვალდებულებებს. აღნიშნული ფაქტების გათვალისწინებით, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ კომპანია თავისი ვალდებულებების გადახდისუნარიანია და კომპანიის ოპერაციების მომგებიანობით გაგრძელების შესაძლებლობა აქვს.

ამონაგების აღიარება

ამონაგების საქონლის რეალიზაციიდან აღიარდება მაშინ, როცა მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები თანხის რეალური ღირებულებით, ფასდათმობისა და რეალიზაციასთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) გამოკლებით.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის დასრულებისათვის არსებული კანონმდებლობის შესაბამისად. საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შეიცვალა კომპანიების დაბეგვრის ადრე არსებული მოდელი, რომლიც ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. განახლებული საკანონმდებლო ბაზის მიხედვით კომპანიას არ უწევს მოგების გადასახადის გადახდა, სანამ არ მოხდება მოგების განაწილება დივიდენდების გატანით ან სხვა ფორმით.

დივიდენდების განაწილება

დივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოიცა და დამტკიცდა.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ერთეულები ფასდება თავდაპირველი ღირებულებით, დაგროვილი ცვეთის და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ღირებულება მოიცავს ნასყიდობის ფასს, იმპორტის მოსაკრებლის და არანაზღაურებადი შემენის გადასახდების და სხვა პირდაპირ მიკუთვნებული გადასახდების ჩათვლით. როდესაც ძირითადი საშუალების ერთეული შეადგენს მთავარ კომპონენტებს, რომელსაც აქვს ექსპლუატაციის სხვადასხვა ვადა, ისინი ითვლება, როგორც ცალკეული ძირითადი საშუალების ერთეული.

აქტივებისათვის, ამორტიზაცია ირიცხება იმგვარად, რომ აქტივების ღირებულება განაწილდეს მათი გემგირი საექსპლუატაციო ვადის ზემოთ ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, წრფივი მეთოდის გამოყენებით. შემდეგი საექსპლუატაციო ვადები გამოიყენება ძირითადი საშუალებების ცვეთისათვის:

ძირითადი საშუალების ჯგუფი	სასარგებლო პერიოდის ვადა
ავტო სანტრასპორტო საშუალებები	5-15 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	3-10 წელი
ოფისის აღჭურვილობა	1-10 წელი

ძირითადი საშუალების ერთეული ჩამოიწერება ლიკვიდაციისას ან როდესაც მისი გამოყენების ან გასხვისებისგან აღარ არის მოსალოდნელი სამომავლო ეკონომიკური სარგებელი. ნებისმიერი მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა აქტივის ჩამოწერისას (გაანგარიშებული, როგორც სხვაობა განკარგვის წმინდა შემოსავალსა და აქტივების საანგარიშო ღირებულებას შორის) შედის მოგება-ზარალის ანგარიშში, როდესაც აქტივი ჩამოიწერება.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივების ძირითადი ნაწილი შეადგენს კომპანიის მიერ შემენილ საბუღალტრო პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით.

სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება განისაზღვრება საშალო შეწონილის საფუძველზე.

სავაჭრო მოთხოვნები

რეალიზაციდა ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სავაჭრო მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების გაანალიზება იმის დასადგენად, ხომ არ არსებობს რაიმე ობიექტური მტკიცებულება, რომ ეს თანხები არ ექვემდებარება ამოღებას. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. კომპანიას ამას გარდა აქვს პოლიტიკა ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანების შეფასებისა, რის მიხედვითაც გამოანგარიშებული თანხები ექვემდებარება საექვო მოთხოვნების რეზერვებში აღრიცხვას.

ვადაგადაცილების პერიოდი	%
<90 დღემდე	3%
91-120 დღემდე	10%
121-180 დღემდე	20%
181-360 დღემდე	30%
360-1000 დღემდე	70%
>1000 დღე	100%

სავაჭრო ვალდებულებები

აღნიშნული ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება კომპანიის ფულად ერთეულში (ლარში), საანგარიშო თარიღისათვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით მიღებული შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსულობა/ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როცა იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტიურად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად. ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

3. ფული და ფულის ექვივალენტები

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
ნაღდი ფული სალაროში	37,494	30,279
ფული საბანკო ანგარიშებზე	627,157	1,343,375
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	664,652	1,373,653

ნაღდი ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს როგორც არასარიცხო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომპანიას საბანკო ანგარიშები აქვს არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები.

4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანიის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2018 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო	416,794	601,755
გადახდილი ავანსები	1,942,883	1,224,291
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის წინაშე	2,393	5,547
სხვა მოთხოვნები		29,351
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,362,070	1,860,945

5. სასაქონლო მატერიალური მარაგები

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
საქონელი	1,087,880	1,007,309
სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგი	4,046	3,983
სულ	1,091,926	1,011,292

6. წინასწარ გაწეული ხარჯები

წინასწარ გადახდილი ხარჯები წარმოადგენს მომწოდებლებზე გადახდილ თანხებს. 2017 და 2018 წლებში ასეთი ხარჯების უდიდესი ნაწილი არის საქონლის ერთი ძირითადი მომწოდებლის მიმართ.

7. ძირითადი საშუალებები

	ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
31 დეკემბერი 2017	317,226	718,331	1,035,557
შემოსვლა	43,592	155,404	-
გადაფასება			-
გასვლა	935	40,478	-
31 დეკემბერი 2018	359,883	833,256	1,193,139
ცვეთა და გაუფასურება			
31 დეკემბერი 2017	288,265	508,321	796,586
პერიოდის ცვეთა	12,485	70,627	-
გასვლა	352	31,839	-
31 დეკემბერი 2018	300,399	547,109	847,508
წმინდა საბალანსო ღირებულება			
31 დეკემბერი 2017	28,961	210,010	238,970
31 დეკემბერი 2018	59,484	286,147	345,631

კომპანია აღრიცხავს ძირითად საშუალებებს თვითღირებულებით. ცვეთის მეთოდი წრფივი

8. არამატერიალური აქტივები

	ლიცენზიები	სხვა არამატერიალური აქტივები	სულ
31 დეკემბერი 2017	50,600	28,250	78,850
შემოსვლა	146,594	-	-
გადაფასება	-	-	-
გასვლა	-	-	-
31 დეკემბერი 2018	197,194	28,250	225,444
ამორტიზაცია და გაუფასურება			
31 დეკემბერი 2017	1,956	20,923	22,879
პერიოდის ცვლათა	7,360	5,894	-
გასვლა	-	-	-
31 დეკემბერი 2018	9,317	26,817	36,133
წმინდა საბალანსო ღირებულება			
31 დეკემბერი 2017	48,644	7,328	55,971
31 დეკემბერი 2018	187,877	1,433	189,311

2018 წელს კომპანიამ შეიძინა პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც ექსპლოატაციაში შევიდა 2019 წელს.

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

კომპანიის სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2018 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
სავაჭრო ვალდებულებები	(573,963)	(568,972)
სახელფასო ვალდებულებები	(102,153)	(129,332)
მიღებული ავანსები	(37,104)	(39,300)
სხვა ვალდებულებები	(3,848)	(50)
სულ	(717,068)	(737,653)

10. საგადასახადო ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
გადასახდელი მოგების გადასახადი - განაწილებული მოგება	-	-
გადასახდელი მოგების გადასახადი - სხვა	-	6,175.39
საშემოსავლო გადასახადები	52,690.24	13,036.65
დღგ	23,222.11	18,202.72
ქონების გადასახადი	2,569.18	2,569.18
სხვა		37,149.51
სულ	78,481.53	77,133.45

11. შემოსავალი

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
საქონლის გაყიდვა	5,557,854	5,655,054
მომსახურების გაწევა		
სულ	5,557,854	5,655,054

კომპანიის შემოსავალი შედგება მთლიანად საქონლის გაყიდვიდან მიღებული თანხებიდან

12. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვის დანახარჯებს, იმპორტის მოსაკრებლებს, ტრანსპორტირების დანახარჯებს და სხვა ხარჯებს რომლებიც დაკავშირებულია საქონლის შესყიდვასთან.

13. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები 70 % უკავშირდება გაცემულ შრომით ანაზღაურებას.

14. გაყიდვისა და მიწოდების ხარჯები

გაყიდვისა და მიწოდების ხარჯების 60 % უკავშირდება დანახარჯებს საწვავზე.

15. სხვა შემოსულობა/ზარალი - წმინდა

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი)	(36,604)	64,753
ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან მიღებული მოგება/(ზარალი)	4,861	7,337
სულ	(31,743)	72,091

16. სხვა ხარჯები

სხვა ხარჯების უდიდესი ნაწილი შედგება მოთხოვნების გაუფასურების ზარალისა და უიმედო ვალებისაგან

17. იჯარა

კომპანიას იჯარით აქვს აღებული ფართები ოფისისათვის და სავაჭრო ობიექტებისათვის. კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული იჯარები კლასიფიცირებულია როგორც ჩვეულებრივი იჯარა და იჯარის ფარგლებში გადახდილი გადასახდელები აისახება მოგებაში

ან ზარალში შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

18. კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისაგან, გაუნაწილებელი მოგებისაგან და გადაფასებს რეზერვისაგან. 2017 და 2018 წლებში არ მომხდარა დიდვიდენდის გამოცხადება და გაცემა.

19. სააგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშო პერიოდის შემდგომ არ მომხდარა ისეთი მოვლენები, რომლებიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებში ასახვას

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით

დირექტორი

ფინანსური დირექტორი

ნუგზარ მელაძე

ნესტან ამირეჯიბი

თბილისი, საქართველო

თბილისი, საქართველო

31 აგვისტო 2019 წელი

31 აგვისტო 2019 წელი